ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ეროვნული
ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1926 წლის დეკემბრის 16	№ 15 განყოფილება პირველი	ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.

შინაარსი:

მუხ. 781. მიწისძვრისაგან დაზარალებული ქალ. ლენინაკანისა და სოფლების მოსახლეობის საგადასახადო შეღავათების შესახებ.

„ 782. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების მე-20 მუხლის „ე“ პუნქტისა და 69 მუხლის შეცვლის შესახებ.

„ 783. უცხოელთა საცხოვრებელი დოკუმენტის დებულების შეცვლის შესახებ.

„ 784. კავკასიის წითელდროშიანი არმიის მერიგეთა და ქვეუფროსთა შედგენილობის იმ სამხედრო-ვალდებულთა სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შესახებ, რომელნიც სააღნუსხვოდ არ გამოცხადდნენ, ხოლო რომელნიც ნებაყოფლობით გამოცხადდებიან წინამდებარე 1927 წლის ხელახალ აღნუსხვაზე.

„ 785. მუშა-მოსამსახურეთა წრიდან გამოსული ომის ინვალიდებისა და სამოქალაქო ომში დაღუპულ მუშა-მოსამსახურეთა ოჯახების სოციალური დაზღვევის ორგანოებისათვის გადაცემის საქმის დამთავრების შესახებ.

„ 786. სასეზონო და დროებითი სამუშაოს სიებისა და ამ დარგში მომუშავე იმ პირთა კატეგორიების გაფართოების შეუძლებლობის შესახებ, რომელთაც სოციალური დაზღვევა შეეფარდებათ ნაწილობრივ ან სრულიად არ შეეფარდებათ.

„ 787. ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—საჯარო ანგარიშგებისა და სავალდებულო პუბლიკაციის თაობაზე—გამოცემულ დადგენილებათა გაუქმების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

781. მიწისძვრისაგან დაზარალებული ქალ. ლენინაკანისა და სოფლების მოსახლეობის საგადასახადო შეღავათების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. განთავისუფლებულ იქნენ 1926-27 წელს მიწისძვრისაგან დაზარალებული ქალ. ლენინაკანის და მისი გარემო სოფლების მცხოვრებნი:

ა) საშინი მასალის საფუთო გამოსაღებისაგან, რაც შემოღებულია ქალ. ლენინაკანისა და მისი გარემო სოფლების აღსადგენად და

ბ) შემდეგი ადგილობრივი გადასახადისაგან: ბ) შენობებისა, ბ) ოთხფეხი საქონლისა, გ) სატრანსპორტო საშუალებისა და დ) ბოსტნებისა.

2. მოიხსნას ყველა ადგილობრივი გადასახადის ნარჩენი მთელი ხნის განმავლობაში, ვიდრე 1925-26 წლამდე—ამწლითურთ.

3. მოიხსნას სახელმწიფო სამრეწველო და საშემოსავლო გადასახადების დებულებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით დადებული ჯარიმები, რაც 1926 წლის ნოემბრის 1-თვის ირიცხება.

4. მიწისძვრისაგან დაზარალებული სოფლების სიის გამორკვევა მიენდოს სომხეთის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

5. ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე გადასახადებისა და გამოსაღების დასაფარავად შეტანილი თანხები არ დაიბრუნება და არც გაიბრება.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. ნოემბრის 29. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1343 №-ში 1926 წ. ნოემბრის 29-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს

782. **ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების მე-20 მუხლის „ე“ პუნქტისა და 69 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების—1926 წ. აგვისტოს 9-ს—დებულების (ა/კსფსრ კან. კრებ. 1926 წ. მე-8 №-რი, მუხ. 697) მე-20 მუხლის „ე“ პუნქტი და 69 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 20. პუნქტი „ე“.—პუნ. „ა“-ში აღნიშნული სადგომების ჩვეულებრივი მიმდინარე რემონტი“.

„მუხ. 69. სახელმწიფო სასუბვენციო დახმარება ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო წყაროა და ცალკე სახარჯთაღრიცხვო დანაყოფით გატარებულ უნდა იქნეს ამ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში, ხოლო სათანადო კარით—საგასავლო ნაწილში“.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. ნოემბრის 29. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1344 №-ში 1926 წლის დეკემბრის 3-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს

783. **უცხოელთა საცხოვრებელი დოკუმენტის დებულების შეცვლის შესახებ.**

1926 წლის აპრილის 27 დამტკიცებული უცხოელთა საცხოვრებელი დოკუმენტის დებულებისა (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-4 №-რი, მუხ. 636) და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—უცხოელთა საცხოვრებელი დოკუმენტის დებულების შეცვლის თაობაზე—1926 წლის ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-6 №-რი, მუხ. 680) დადგენილების შესაცვლელად,—ამიერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ზემოაღნიშნული დებულების 21 მუხლში ნაჩვენები ვადები—აზერბაიჯანის სსრ-ში მცხოვრებ სპარსეთის ქვეშევრდომთათვის და აფხაზეთის სსრ-ში მცხოვრებ საბერძნეთის ქვეშევრდომთათვის—განგრძობილ იქნეს 1927 წ. იანვრის 1-დე.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1344 №-ში 1926 წ. დეკემბრის 3-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

784. კავკასიის წითელდროშიანი არმიის მერიგეთა და ქვეუფროსთა შედგენილობის იმ სამხედრო-ვალდებულთა სიხსლის სამართლის წესით პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შესახებ, რომელნიც ააღნუსხვოდ არ გამოცხადდნენ, ხოლო რომელნიც ნებაყოფლობით გამოცხადდებიან წინამდებარე 1927 წლის ხელახალ აღნუსხვაზე.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი იღებს მხედველობაში, რომ ა/კსფსრ მშრომელთა ერთი ნაწილი, ა/კსფსრ-ში შემავალ რესპუბლიკების გასაბჭოებიდან, პირველად არის გაწვეული სამხედრო სამსახურში, რისგამოც მერიგეთა და ქვეუფროსთა შედგენილობის სამხედრო-ვალდებულთა აღნუსხვისათვის დადგენილი წესების დარღვევა იმით აიხსნება, რომ მოსახლეობა სრულად როდია გაცნობილი ამ წესებს,—და იგი ადგენს:

განთავისუფლებულ იქნენ სიხსლის სამართლის წესით პასუხისმგებლობისაგან ა/კსფსრ ტერიტორიაზე მცხოვრებ მერიგეთა და ქვეუფროსთა შედგენილობის ის სამხედრო-ვალდებულნი, რომელნიც არ გამოცხადდნენ აქამდე მომხდარ აღნუსხვებზე, ხოლო რომელნიც ნებაყოფლობით გამოცხადდებიან მერიგეთა და ქვეუფროსთა შედგენილობის სამხედრო-ვალდებულია წინა-მდებარე აღნუსხვაზე, რაც 1927 წ. არის დანიშნული.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. ნოემბრის 29. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1345 №-ში 1926 წ. დეკემბრის 4-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირკულარი № 53 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა

785. მუშა-მოსამსახურეთა წრიდან გამოსულ ომის ინვალიდთა და სამოქალაქო ომში დაღუპულ მუშა-მოსამსახურეთა ოჯახების სოციალური დაზღვევის ორგანოებისათვის გადაცემის საქმის დამთავრების შესახებ.

აზერბაიჯანის სსრ-სა, საქართველოს სსრ-სა და სომხეთის სსრ-ს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებული, ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1925 წ. ნოემბრის 2-ს თარიღის ინსტრუქციის შესაცვლელად — ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი,—აზერბაიჯანის სსრ, საქართველოს სსრ-სა და სომხეთის სსრ-ს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით, წინადადებას აძლევს თავის ადგილობრივ ორგანოებს — დაამთავრონ სოციალური დაზღვევის ორგანოებისათვის მუშა-მოსამსახურეთა წრიდან გამოსული ომის ინვალიდების კონტინგენტთა და სამოქალაქო ომში დაღუპულ მუშა-მოსამსახურეთა ოჯახების გადაცემის სამუშაო შემდეგ საფუძველზე:

1. სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანურ სამმართველოებთან (აზერბაიჯანისა, საქართველოს და სომხეთის), ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1925 წ. ნოემბრის 2-ს ინსტრუქციის („ა/კ. შრ. სახ. კ-ტის შრომის კანონმდ. ვესტნიკ"-ის 1925 წ. მე-20 №-რი) მე-8 მუხლის წესისამებრ, მოწყობილ კომისიების მიერ მუშა-მოსამსახურეთა წრიდან გამოსული ომის ინვალიდებისა და სამოქალაქო ომში დაღუპულ მუშა-მოსამსახურეთა ოჯახების გადაცემის შესახები საქმის მიღება მოისპობა 1926 წ. დეკემბრის 1-დან და ამ ვადის გასვლის შემდეგ სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანურ სამმართველოებთან არსებული კომისიები გაუქმებულ უნდა იქნენ.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული კონტიგენტის გადაცემის სამუშაოს დასამთავრებლად ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის სოციალური დაზღვევის მთავარ სამმართველოსთან არსებული საქმეთა გადამცემი ცენტრალური კომისია განაგრძობს თავის მოქმედებას 1927 წ. თებერვლის 1-დე იმ საქმეთა განხილვის ფარგლებში, რაც სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანურ სამმართველოსთან არსებულ კომისიებშია შესული 1926 წ. დეკემბრის 1-დე, და რაც განხილულ არ იქნება სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანურ სამმართველობეთან არსებული კომისიების გაუქმების მომენტისათვის, აგრეთვე იმ საქმეთა ფარგლებში, რაც განხილულ არ იქნება ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1925 წ. ნოემბრის 2-ს ინსტრუქციის მე-9 მუხლის ძალით.

3. სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივ ორგანოებს დაევალებათ აღასრულონ ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის სო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციალური დაზღვევის მთავარ სამმართველოსთან არსებული საქმეთა გადამცემი ცენტრალური კომისიის მიერ 1927 წლის თებერვლის 1-დე, მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ფარგლებში, გამოტანილი დადგენილებანი.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისრის მაგიერ **გოდაბრელიძე.**

შეთანხმებულია: აზერ. სსრ სოც. უზრუნვ. სახ. კომისარი **მაჰმედიაროვი.**

საქარ. სსრ. სოც. უზრუნვ. სახ. კომისარი **ხომერიკი.**

სომხეთის სსრ სოც. უზრუნვ. სახ. კომისარი **ოსეფიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1351 №-ში 1926 წ. დეკემბრის 11-ს.

ცირკულარი № 51 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა

1926 წლის ნოემბრის 30.

786. სასეზონო და დროებითი სამუშაოს სიებისა და ამ დარგში მომუშავე იმ პირთა კატეგორიების გაფართოების შეუძლებლობლობის შესახებ, რომელთაც სოციალური დაზღვევა შეეფარდებათ ნაწილობრივ ან სრულიად არ შეეფარდებათ.

ამით წინადადება გეძლევათ მიიღოთ სახელმძღვანელოდ სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1926 წ. ნოემბრის 30-ს თარიღისა და 246-639 №-რის ცირკულიარი „სასეზონო და დროებითი სამუშაოს სიებისა და ამ დარგში მომუშავე იმ პირთა კატეგორიების გაფართოების შეუძლებლობის შესახებ, რომელთაც სოციალური დაზღვევა შეეფარდებათ ნაწილობრივ ან სრულიად არ შეეფარდებათ".

ცნობები სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის აღნიშნული—246-639 №-რის—ცირკულიარის მე-2 მუხლის შეფარდების შედეგის შესახებ წარადგინეთ ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის სოციალური დაზღვევის მთავარ სამმართველოში არა უგვიანეს 1927 წ. თებერვლის 1-სა.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარი **ა. იაშვილი.**

ა/კ. შრომის სახალხო კ-ტის სოც. დაზღვ.
მთავარ სამმართველოს უფროსის მაგიერ **ბ. ევანგულოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირკულიარი სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა

1926 წლის ნოემბრის 30. № 246/639.

სასეზონო და დროებითი სამუშაოს სიებისა და ამ დარგში მომუშავე იმ პირთა კატეგორიების გაფართოების შეძლებლობის შესახებ, რომელთაც სოციალური დაზღვევა შეეფარდებათ ნაწილობრივ ან სრულიად არ შეეფარდებათ

მოკავშირე რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს, სოც. დაზღვევის ცენტრ. ტრანსპორტის სექციის რწმუნებულთ, საგზაო და წყალსავალი გზის სარაიონო დამზღვევ სალაროებს და საგზაო-წყალსავალი გზის დამზღვევ სალაროებს.

ამ უკანასკნელ ხანში შემჩნეულია ისეთი შემთხვევები, როდესაც სოციალური დაზღვევის ადგილობრივი ორგანოები შეუფარდებენ ხოლმე ნაწილობრივ დაზღვევას ისეთ წარმოებას და სასეზონო და დროებით სამუშაოს, რაც აღნიშნული არ არის შრომის სახალხო კომისარიატის 1923 წ. ივნისის 23-ს თარიღისა და 259—53 №-რის ცირკულიარის („შრ. სახ. კ-ტის იზვესტია"-ს 1923 წ. 22 №-რი) 1-ლი მუხლის თანახმად გამოცემულ სიებში; კერძოდ, ყოფილა შემთხვევა, როდესაც ნაწილობრივი დაზღვევა შეუფარდებიათ დატვირთვისა და გადმოტვირთვის სამუშაოსათვის, სამშენებლო სამუშაოსათვის და სხვ.

სსრკ შრომის სახალხო კომისარიატი წინადადებას გაძლევთ განუმარტოთ ადგილობრივ დამზღვევ სალაროებს:

1) შრომის სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული სასეზონო და დროებითი სამუშაოს სიები და ამ დარგში მომუშავე იმ პირთა კატეგორიები, რომელთაც სოციალური დაზღვევა შეეფარდებათ ნაწილობრივ ან სრულიად არ შეეფარდებათ,—ყოველად სრულია და გაფართოებულ არ უნდა იქნეს.

2) ყოველი შემთხვევა ნაწილობრივი დაზღვევის შეფარდებისა დაუყოვნებლივ გამორკვეულ უნდა იქნეს და იმ სასეზონო და დროებითი სამუშაოს ტარიფიკაცია, რაც აღნიშნული არ არის ნაწილობრივი დაზღვევის სიებში, უნდა მოხდეს სრული დაზღვევით, სოციალური დაზღვევის გადასახადის მომქმედი ტარიფების მიხედვით.

სსრკ შრომის სახალხო კომისარი **შმიდტი**

სოციალური დაზღვევის ცენტრალური სამმართვ. უფროსი **ნემჩენკო.**

საფონდო განყოფილების გამგე **ლირცმანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1351 №-ში 1926 წ. დეკემბრის 11-ს.

დადგენილება № 44 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭო

787. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—საჯარო ანგარიშგებისა და სავალდებულო პუბლიკაციის თაობაზე—გამოცემულ დადგენილებათა გაუქმების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

რადგანაც სსრკ სახალხო კომისართა საბჭომ გამოსცა 1926 წ. აგვისტოს 24-ს თარიღის დადგენილება „სამრეწველო და სავაჭრო საწარმოთა და საკრედიტო დაწესებულებათა საჯარო ანგარიშგების წესების დამტკიცების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1926 წ. მე-60 №-რი, მუხ. 451), გაუქმებულ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს შემდეგი დადგენილებანი:

1. 1923 წ. ივნისის 21-ს თარიღისა და 57 №-რისა „საჯარო ანგარიშგებისა და სავალდებულო პუბლიკაციის წესის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ 1923 წ. მე-9 №-რი, მუხ. 129).

2. 1923 წ. ნოემბრის 1-ს თარიღისა და 106 №-რისა „საჯარო ანგარიშგებისა და სავალდებულო პუბლიკაციის წესის შეცვლის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1923 წ. მე-12 №-რი, მუხ. 241).

3. 1924 წ. იანვრის 2-ს თარიღისა და 115 №-რისა „ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—საჯარო ანგარიშგებისა და სავალდებულო პუბლიკაციის წესის თაობაზე—57 №-რით გამოცემული დადგენილების მე-10 მუხ. შეცვლის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 4).

4. 1924 წ. ნოემბრის 18-ს თარიღისა და 61 №-რისა „საჯარო ანგარიშგებისა და სავალდებულო პუბლიკაციის წესის შეცვლის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1924 წ. მე-8 №-რი, მუხ. 280).

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

ქ. ტფილისი, 1926 წ. დეკემბრის 4. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1355 №-ში 1926 წლის დეკემბრის 15-ს.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა ტფილისი

საქართ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა
მთავლიტი № 1555. ტირაჟი 800.